სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N8

ქ. ბათუმი 2 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომის დაწყების დრო: 13:30

2022 წლის 2 დეკემბერს შედგა სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

გივი ხალვაში - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის დირექტორი;

მზია თევზაძე - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;

ნათია ქორიძე - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

რუსლან ბერიძე - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს მდივანი;

ნინო გოგოლიშვილი - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი;

ლალი ქორიძე - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი;

მაია სურმანიძე - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი;

თორნიკე ხაბეიშვილი - სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი

დღის წესრიგი

1. მოსწავლეთა დილით დაგვიანებისა და ბოლო გაკვეთილებზე დასწრების შესახებ;

მ. თევზაძე

2. პიროტექნიკის გამოყენების შესახებ;

ნ. ქორიძე

3. მიმდინარე საკითხები: ა) მოსწავლეთა ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები;
   ბ) გაკვეთილების დროს მოსწავლეთა მოძრაობა დერეფნებში.

თ. ხაბეიშვილი, ნ. ქორიძე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საკითხი N1. მოსწავლეთა დილით დაგვიანებისა და ბოლო გაკვეთილებზე დასწრების შესახებ;

მოისმინეს: მოსწავლეთა დილით დაგვიანებისა და ბოლო გაკვეთილებზე დასწრების შესახებ; მზია თევზაძემ აღნიშნა, რომ ყოველდღიურად ძალიან ბევრი მოსწავლე აგვიანებს დილით. მიუხედავად დამრიგებლების მშობლებთან დაუღლელი მუშაობისა საკითხი არ გამოსწორდა. იყო პერიოდი როდესაც მანდატურები აღრიცხავდნენ დაგვიანებულ მოსწავლეებს. ბავშვები იმიზეზებენ ქალაქში არსებულ საცობებს, თუმცა ხშირად შორიდან უფრო ადრე მოდიან, ვიდრე სკოლის ახლოს მცხოვრებლები. ჩვენ გადავწყვიტეთ აღვრიცხოთ ზუსტად რამდენი მოსწავლეა კლასში 9:05 სთ-ზე. ყველა მოსწავლეს დაეწერება ,,არა", რაც განსაკუთრებით მაღალ კლასებში გამოიწვევს ,,არების" დაგროვებას და 30%-იანი ზღვარის მიღწევას. როგორც ვიცით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საგნების გადალახვა გაცდენების დიდი რაოდენობის შემთხვევაში მოუწევთ ექსტერნატის წესით, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნება ადვილი. მესამე გაკვეთილზე კვლავ აღვრიცხავთ მოსწავლეთა რაოდენობას, რაც მასწავლებლებს იძულებულს ხდის ზუსტად აღრიცხონ მოსწავლეთა სწრებადობა. ხშირია, როცა პირველ გაკვეთილზე მოსწავლეთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე მესამეზე, თუმცა, ასევე ხშირ შემთხვევაში პირველ და მესამე გაკვეთილზე მოსწავლეთა რაოდენობა ერთნაირია. ზოგიერთ კლასში გამოსწორდა კიდეც სიტუაცია და მოსწავლეები აღარ აგვიანებენ. იმედი გვაქვს, რომ ეს ღონისძიება გარკვეულ შედეგს გამოიღებს. ასევე რამდენიმე მოსწავლე ტოვებს საგაკვეთილო პროცესს ნებადაურთველად, განსაკუთრებით, მე-5 გაკვეთილიდან, როცა სკოლის შემოსასვლელი ჭიშკარი იღება. კარგი იქნება, თუ მსგავსი აღრიცხვა ჩატარდება დამამთავრებელ, მე-6 ან მე-7 გაკვეთილზე და გამცდენ მოსწავლეებს, გარდა იმისა, რომ დაეწერებათ ,,არა", მოეთხოვებათ პასუხი, შესაძლოა მშობლის გაფრთხილება, თვითონ მოსწავლის გაფრთხილება და ა.შ.

აზრი გამოთქვეს: ნ. გოგოლიშვილმა, თ. ხაბეიშვილმა, ნ. ქორიძემ. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საკითხი სწორადაა დასმული.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული მზია თევზაძის ინფორმაცია მოსწავლეთა დილით დაგვიანებისა და ბოლო გაკვეთილებზე დასწრების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0.

საკითხი N2. მოისმინეს: სკოლაში საახალწლო პიროტექნიკის გამოყენების საფრთხეების შესახებ.

მომხსენებელმა მრჩეველთა საბჭოს წევრმა ნათია ქორიძემ აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით არანაირი ცვლილებები არ არის, ისევ ისე შემოდის საახალწლო მაშხალები ბაზარზე, ისევ ხდება რეალიზაცია მცირე ასაკის ბავშვებზე და ისევ არსებობს ძალიან მაღალი რისკი იმის, რომ ვინმეს ჯანმრთელობა დაზიანდეს. პირველ რიგში, არ უნდა ხდებოდეს 18 წლამდე ასაკის პირებზე მსგავსი პროდუქტის მიყიდვა, უნდა არსებობდეს შეზღუდვები. პრობლემაა ისიც, რომ ქართულენოვანი ეტიკეტი ხშირ შემთხვევაში არ არის სხვადასხვა სახის შუშხუნებზე. გარდა ამისა, პროდუქტის რეალიზაციამდე დაცული უნდა იყოს შენახვის პირობები. ჩვენ უნდა მივიღოთ უსაფრთხოების ზომები, მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ ასეთი მასალის სკოლაში შემოტანა დაუშვებელია და საფრთხეს უქმნის როგორც თავად მოსწავლის, ისე მისი თანაკლასელების და თანატოლების სიცოცხლეს. ამ საქმეში უნდა ჩავრთოთ მოსწავლეთა თვითმართველობა. უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი მოსწავლეების ენერგია შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე გადაირთვება. შეიძლება საახალწლოდ მოვრთოთ სკოლა, დავდგათ ნაძვის ხეები, მოვაწყოთ საახალწლო ზეიმი.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან, მანდატურის სამსახურთან ერთად თვითმართველობა აქტიურ წვლილს შეიტანს წინასაახალწლოდ პიროტექნიკის გამოყენების საფრთხეების აცილებაში.

1. დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული მრჩეველთა საბჭოს წევრის რეკომენდაცია სკოლაში საახალწლო პიროტექნიკის გამოყენების საფრთხეების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0.

საკითხი N3. მიმდინარე საკითხები: ა) მოსწავლეთა ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები; ბ) გაკვეთილების დროს მოსწავლეთა მოძრაობა დერეფნებში.

მოისმინეს: მიმდინარე საკითხების შესახებ. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე თ. ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შორის მოსაწესრიგებელია ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ჩვენი მოსწავლეები უდიერად იქცევიან საპირფარეშოებში, არ იცავენ ჰიგიენის წესებს. ამის გამო, ხშირად გარეთ, დერეფნებში გამოდის არასასიამოვნო სუნი. კარგი იქნება, თუ ბიოლოგიის მასწავლებლები ერთ საათს დაუთმობენ იმას, თუ როგორ დაიცვან მოსწავლეებმა ჰიგიენის წესები, რამდენად საჭიროა წყალი და რომ იგი უმიზნოდ არ უნდა დაიღვაროს. ალბათ, დამრიგებლებმაც უნდა გააქტიურონ ამ მხრივ მუშაობა, ჩაატარონ შესაბამისი კლასსაათები. თვითმმართველობა შეეცდება გააკრას პოსტერები ჰიგიენის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

სკოლის მანდატურმა ნათია ქორიძემ აღნიშნა, რომ გახშირდა მასწავლებლების მიერ საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეთა გამოშვება. ძირითადად მასწავლებლები მოსწავლეებს უშვებენ მათივე თხოვნით, ან არ უშვებენ გაკვეთილზე დაგვიანებულ მოსწავლეს, ან აძევებენ ცუდი საქციელის გამო. ხშირად ასეთი მოსწავლეები უმიზეზოდ გამოდიან გაკვეთილიდან და ხელს უშლიან სხვა გაკვეთილის ნორმალურად წარმართვას. ისინი დადიან დერეფნებში, ეძებენ ცარიელ საკლასო ოთახებს და ქმნიან პრობლემებს. მანდატურმა მოითხოვა მასწავლებლებისა და დამრიგებლების გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ არ გამოუშვან კლასიდან მოსწავლეები განსაკუთრებული საჭიროებების გარეშე, რომ მოსწავლე არ დარჩეს უმეთვალყუროდ.

აზრი გამოთქვეს: ნ. გოგოლიშვილმა, ლ. ქორიძემ, რ. ბერიძე.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული თორნიკე ხაბეიშვილისა და ნათია ქორიძის ინფორმაცია ჰიგიენის მდგომარეობისა და გაკვეთილებიდან მოსწავლეების გამოშვების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0.

თავმჯდომარე: მ. თევზაძე

მდივანი: რ. ბერიძე

წევრები: გივი ხალვაში

ნათია ქორიძე

ნინო გოგოლიშვილი

ლალი ქორიძე

მაია სურმანიძე

თორნიკე ხაბეიშვილი